საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბათიაშვილი თამაზ ალექსის ძე

ბათიაშვილი თამაზ ალექსის ძე (დ. 18. III. 1941, თბილისი), მევიოლინე და პედაგოგი. საქართვ. სახ. არტისტი (1980). პროფესორი (1986).

1963 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორია, 1966 – ასპირანტურა (პროფ. შ. შანიძის კლასი). 1963 მუშაობა დაიწყო საქართვ. სახელმწ. კამერულ ორკესტრში (რ-ის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და მონაწილეცაა) კონცერტმაისტერად, ხოლო 1966-იდან – საქართვ. სახელმწ. სიმებიან კვარტეტში მევიოლინედ. კვარტეტთან ერთად კონცერტებს მართავდა ყოფ. სსრკ ქ-ებში და საზღვარგარეთ (გერმანია, ავსტრია, ჰოლანდია, იტალია, შვეცია, ფინეთი, ესპანეთი, სამხრ. ამერიკა, ჩეხოსლოვაკია, საბერძნეთი და სხვ.).

1967-იდან თბილ. სახელმწ. კონსერვ. პედაგოგია. ზ. ფალიაშვილის სახ. (1971), რუსთაველის სახ. სახელმწ. (1992) და საქართვ. სახელმწიფო პრემიის (2010), აგრეთვე ვაინერის სახ. საერთაშ. კონკურსის ლაურეატი (1973, ბუდაპეშტი, კვარტეტის სხვა წევრებთან – კ. ვარდელთან, ო. ჩუბინაშვილთან, ნ. ჟვანიასთან ერთად).

ლ. საყვარელიძე